

გლობალური ბაზრების ყოველკვირეული მიმოხილვა

27 აპრილი 2026

რატი წიკლაური

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

ალექსანდრე გველესიანი

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

ნიკა კვაშალი

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

მოკლე შეჯამება


მსოფლიო ბაზრების მიმოხილვა

	უკუგება (USD,%)	
MSCI აქციების ინდექსები	კვირა	YTD
აშშ	0.57	4.50
ევროპა	(2.22)	3.07
აზია (გარდა იაპონიისა)	1.24	14.20
იაპონია	(0.70)	9.63
განვითარებადი ბაზრები	0.87	14.64
მსოფლიო	(0.32)	4.57


ბაზრის პულსი

გასული კვირის განმავლობაში S&P 500 და Nasdaq-ის ინდექსები გაიზარდა და პარასკევითვის ახალ რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია, თუმცა Dow Jones-ის ინდექსი ოდნავ შემცირდა. ბრენტ მარკის ნავთობის ფასი ბარელზე დაახლოებით 105 დოლარზე დაფიქსირდა, რადგან გახმაურდა, რომ აშშ და ირანი პაკისტანში პირდაპირი მოლაპარაკებებისთვის ემზადებოდნენ. მიუხედავად დაძაბული გეოპოლიტიკური ფონისა, რისკიანი აქტივების ფასებმა მაინც მოიმატა, რაც ძირითადად Intel-ის აქციების ისტორიული, 23.6%-იანი ნახტომით იყო გამოწვეული. ამ ფაქტმა მთელ ნახევარგამტარების (ჩიპების) სექტორზე დადებითად იმოქმედა.

აქტივების კლასების უკუგება (კვირა)




აშშ-ის სექტორული უკუგება (კვირა)




კვირის მიგნება

ხელოვნური ინტელექტის ბუმით განპირობებული, წლის მთავარ საინვესტიციო თემად ნახევარგამტარები (ჩიპები) იქცა. ფილადელფიის ნახევარგამტარების ინდექსი (SOX) ცოტა ხნის წინ 47%-ით გაიზარდა და რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია, რამაც კომპანიების შეფასება ბოლო პერიოდის მოგებასთან მიმართებით 60-ჯერ გაზარდა. ამ გლობალურმა რალიმ ტაივანისა და სამხრეთ კორეის ჩიპებით დატვირთულ საფონდო ბაზრებსაც შეუწყო ხელი, რათა მათ ამერიკის ფართო ბაზრისთვის მარტივად გაესწროთ.



მსოფლიო ბაზრების მიმოხილვა




MSCI აქციების ინდექსები	უკუგება (USD,%)				წყარო: Bloomberg
	1-კვირა	1-თვე	წლის დასაწყისიდან	1-წელი	
აშშ	0.57	12.55	4.50	29.49	
ევროპა	(2.22)	6.07	3.07	16.96	
აზია (გარდა იაპონიისა)	1.24	11.54	14.20	44.53	
იაპონია	(0.70)	2.87	9.63	42.81	
განვითარებადი ბაზრები	0.87	12.02	14.64	46.75	
მსოფლიო	(0.32)	10.81	4.57	28.03	

კვირის მთავარი მოვლენები


- კვირა ფაქტობრივად ნახევარგამტარების სექტორსა და ცეცხლის შეწყვეტის მოლოდინებს დაეთმო. პარასკევს Intel-ის აქციების 24%-იანი ნახტომი (რაც 1987 წლის შემდეგ საუკეთესო ერთდღიანი შედეგია) ფართო ჩიპების რაღის კატალიზატორად იქცა, რამაც ფილადელფიის ნახევარგამტარების ინდექსის ზედიზედ მომგებიანი სერია 18 სესიამდე გაახანგრძლივა.
- S&P 500-ში ტექნოლოგიური სექტორი კვირის განმავლობაში ყველაზე მომგებიანი აღმოჩნდა, ხოლო სამომხმარებლო სექტორმაც მოლოდინს გადააჭარბა, რადგან კომპანიების მოგებიანობის მიმართ ნდობა გაუმჯობესდა.
- ენერგეტიკის სექტორი აშკარად ჩამორჩა. ბაზრები პაკისტანში დიპლომატიური მოლაპარაკებების პერსპექტივას აფასებდნენ, თუმცა რეალობა ის არის, რომ ჰორმუზის სრუტე ფაქტობრივად ისევ ჩაკეტილი რჩება და სამხედრო-საზღვაო დაძაბულობის ფონზე ტანკერების მოძრაობა კვლავ შეფერხებულია.
- ევროპულმა აქციებმა ამერიკულთან შედარებით სუსტი შედეგები აჩვენეს, რაც ენერგეტიკულ სექტორზე მათი დიდი დამოკიდებულებითა და კონტინენტზე ნავთობის მაღალი ფასების გამო გამოწვეული ინფლაციური შიშებით აიხსნება.

აქტივების ბაზრის მიმოხილვა

აქტივების კლასების კვირის უკუგება



აქტივების კლასების უკუგება წლის დასაწყისიდან დღემდე



წყარო: Bloomberg

გასული კვირის მნიშვნელოვანი ცვლილებები

- **Bitcoin-ის** ფასი გაიზარდა და 78,000 დოლარს მიუახლოვდა, რასაც ხელი შეუწყო ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გახანგრძლივებამ.
- **აშშ დოლარის** კურსი კი მცირედით შემცირდა, რადგან ურთიერთსაწინააღმდეგო გეოპოლიტიკურმა ახალმა ამბებმა ბაზარზე გარკვეული მერყეობა გამოიწვია. დოლარის ფასი წლის განმავლობაში მაინც გაზრდილი რჩება.


გეოპოლიტიკა

დაძაბული დიპლომატია

პარასკევს გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ და ირანი პაკისტანში პირდაპირი მოლაპარაკებებისკენ მიდიოდნენ. შაბათს დილით ისლამაბადში აშშ-ის სპეციალური დესპანი სტივ უიტკოფი და ჯარედ კუშნერი ირანელ კოლეგებთან პირდაპირი მოლაპარაკებებისთვის უნდა ჩასულიყვნენ. თუმცა ბაზრის მოლოდინები მალევე გაქრა, რადგან ორივე მხარემ პირდაპირი მოლაპარაკებების ახალი რაუნდის გამართვაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი აბას არაღჩი პარტნიორობთან კოორდინაციისთვის ისლამაბადს, მუსკატსა და მოსკოვს ეწვია. ამავდროულად, პრეზიდენტმა ტრამპმა ლიბანში ცეცხლის შეწყვეტის სამკვირიანი გახანგრძლივების შესახებ გამოაცხადა, რამაც ოთხშაბათს რისკისადმი მიდრეკილება გაზარდა. ჰორმუზის სრუტის ბლოკადის გაგრძელების ფონზე, ირანულმა მხარემ აშშ-ის ადმინისტრაციას ყურიდან ნავთობის ექსპორტის დროებითი განახლება და ბირთვულ საკითხზე მოლაპარაკებების გადადება შესთავაზა. დადებითი მოლოდინების ფონზე ბაზრები იზრდება.



მაკროეკონომიკა



მწარმოებელთა ინფლაცია

S&P Global-ის წინასწარი მონაცემებით, აპრილში აშშ-ის Composite PMI ინდექსი 52.0-მდე გაიზარდა, მაშინ როცა პროგნოზი 50.5 იყო, ხოლო მარტში 50.3 დაფიქსირდა. აპრილის ეს მაჩვენებელი ბოლო სამი თვის მაქსიმუმს წარმოადგენს. ახლო აღმოსავლეთში ომის დაწყების გამო მარტში დაფიქსირებული თითქმის სტაგნაციის შემდეგ, ბიზნეს აქტივობის ზრდა ოდნავ აღდგა. "აპრილის PMI ინდექსი ძირითადად ასახავს ეკონომიკის მცდელობას, 1%-ზე მეტი წლიური ზრდა შეინარჩუნოს", განაცხადა S&P-ის წარმომადგენელმა კრის უილიამსონმა.

კვირის მიგნება


ჩიპები ისევ ლიდერობენ

ხელოვნური ინტელექტის ბუმმა ნახევარგამტარები წლის წამყვან საინვესტიციო ტრენდად აქცია — ჩიპების მწარმოებელთა ინდექსები ფართო ბაზარს საგრძნობლად უსწრებენ. ფილადელფიის ნახევარგამტარების ინდექსმა (SOX) 18 დღეში 47%-იანი რეკორდული ნახტომი გააკეთა. ზრდა გეოპოლიტიკურმა სტაბილურობამ და იმ მოლოდინმა განაპირობა, რომ მონაცემთა ცენტრების მშენებლობა ჩიპებზე მოთხოვნას წლობით შეინარჩუნებს.

თუმცა, აქციების მაღალი ფასის გამო (P/E ~60), ამ მაღალი მოლოდინების ვერ გამართლების სივრცე ფაქტობრივად არ რჩება. აღმასვლა მხოლოდ შტატებით არ შემოიფარგლება. ტაივანისა და სამხრეთ კორეის ბაზრები, სადაც ჩიპების მწარმოებელი გლობალური გიგანტებია კონცენტრირებული, მსოფლიო ლიდერებად იქცნენ და ამერიკულ ბაზარსაც კი საგრძნობლად გაუსწრეს.



ეს რბოლა მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა: 2022 წლიდან ნახევარგამტარების წილი S&P 500-ის კაპიტალიზაციაში 4%-დან 16%-მდე გაიზარდა, რაც ძირითადად პროგრამული უზრუნველყოფის სექტორის ხარჯზე მოხდა. მთავარი რისკი ნათელია: ჩიპების ძირითადი მყიდველები ტექ-გიგანტები (Amazon, Microsoft, Alphabet, Meta) არიან. თუ ისინი ხარჯების შემცირებას დააანონსებენ, ან ნეგატიურ ხედვას წარმოადგენენ, ნახევარგამტარების ბუმი პირველ სერიოზულ დარტყმას მიიღებს.

ნახევარგამტარების კომპანიების მკვეთრი ზრდა





ბაზრის მამოძრავებლები

Intel კვირის მოძრაობის მთავარი კატალიზატორი იყო და ისეთი შედეგი აჩვენა, რომელმაც AI ეკოსისტემაში მის როლთან დაკავშირებით ინვესტორების აღქმა ძირფესვიანად შეცვალა. აღმასრულებელი დირექტორის, ლიპ-ბუ ტანის ხელმძღვანელობით, კომპანიამ 2025 წლის გაზაფხულის მინიმუმიდან ამოქაჩა.



Advanced Micro Devices-მა Intel-ს მიმართ ბაზრის დადებითი განწყობებით იხეირა და კვირის განმავლობაში დიდი ზრდა ნახა. კომპანიის პოზიციონირებამ, რომელიც როგორც ზოგადი პროცესორების ასევე ხელოვნური ინტელექტის დამაჩქარებლების მიწოდებას გულისხმობს, საშუალება მისცა მას დიდი ზრდის პრემიუმი შეენარჩუნებინა.

MaxLinear კვირის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მოთამაშედ ჩამოყალიბდა და უზარმაზარი ზრდა აჩვენა, რაც ხელოვნური ინტელექტის კომპანიების მიმართ ფართომასშტაბიანი სენტიმენტის ცვლილებას ასახავს. Intel-ისა და AMD-სგან განსხვავებით, MaxLinear ძირითადად კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ჩიპებზეა ორიენტირებული.



Coursera-მ შემოსავლების მოლოდინები ვერ გაამართლა, მისი აქციების ფასი კი ძირითადად მოსალოდნელზე სუსტმა სამომავლო პროგნოზებმა განაპირობა, რამაც ინვესტორებს კომპანიის ზრდის ტრაექტორიის მიმართ საფუძვლიანი კითხვები გაუჩინა და ბაზარზე სენტიმენტი შეცვალა.

კვირის განრიგი

ორშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
გერმანია	GfK-ს სამომხმარებლო განწყობა

სამშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
იაპონია	BoJ-ს საპროცენტო განაკვეთი

ოთხშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
გერმანია	ინფლაცია
აშშ	Fed-ის საპროცენტო განაკვეთი

ხუთშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
ევროზონა	ინფლაცია

პარასკევი

რეგიონი	ინდიკატორი
აშშ	ISM-ის წარმოების PMI

სიმბოლო	ტიპი
VZ	შედგები
CDNS	შედგები
PSA	შედგები
NUE	შედგები

სიმბოლო	ტიპი
VISA	შედგები
KO	შედგები
NVS	შედგები
TMUS	შედგები

სიმბოლო	ტიპი
GOOG	შედგები
MSFT	შედგები
AMZN	შედგები
META	შედგები

სიმბოლო	ტიპი
AAPL	შედგები
LLY	შედგები
MA	შედგები
CAT	შედგები

სიმბოლო	ტიპი
BRK	შედგები
XOM	შედგები
CVX	შედგები
LIN	შედგები

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის.

რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია.

დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განახლოს.

მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განაცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებითი გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით.

თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელსაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.



TBC CAPITAL

www.tbccapital.ge